

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ნაძალადევის რაიონის გამგეობა



კონკურსის მეშვეობით ცოტნე დადიანის ქანდაკების საუკეთესო ესკიზისა
და მის საფუძველზე შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო
დოკუმენტაციის შესყიდვის

საკონკურსო დოკუმენტაცია



წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე

1. საკონკურსო განცხადება

- 1.1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნამალადევის რაიონის გამგეობა აცხადებს კონკურსს მ/სადგურ „ნამალადევი“-ს მ/ტერიტორიაზე ცოტნე დადიანის ქანდაკების ესკიზისა და მის საფუძველზე შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვაზე და კონკურსში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს;
- 1.2. კონკურსის მიზანია ქ. თბილისში, ნამალადევის რაიონში, მ/სადგურ „ნამალადევი“-ს მიმდებარედ განსათავსებელი ცოტნე დადიანის ქანდაკების საუკეთესო ესკიზის გამოვლენა და მის საფუძველზე შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;
- 1.3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 5 000 (ხუთი ათასი) ლარს;
- 1.4. საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს კანონის 19¹ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით (50 ლარი). საფასური გადაიხდება ლარებში, სააგენტოს ანგარიშზე რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).

მიმღების ბანკი	ს.ს. ბანკ „რესპუბლიკის“ ცენტრალური ფილიალი
	ბანკის კოდი: REPLGE22
მიმღები	მიმღები: სსიპ -კონკურსებისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
	IBAN: GE52BR0000010591718543

- 1.5. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
 - ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თა- რილი;
 - ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნამალადევის რაიონის გამგეობა, ს/კ 200279527);
 - გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
 - დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი;
- 1.6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. 1.4 და 1.5 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას;
- 1.7. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე;
- 1.8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს დალუქული პაკეტით, ქართულ ენაზე და ხელმოწერილი და ბეჭედასმული უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ. პაკეტზე მითითებული უნდა იყოს კონკურსანტის/კონკურსანტების სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონი. უცხო ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს;



1.9. საკონკურსო წინადადების მიღება იწყება 2014 წლის 15 ოქტომბერს;

- 1.10. საკონკურსო წინადადების მიღება მთავრდება 2014 წლის 31 ოქტომბერს 17⁰⁰ საათზე;** დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ **2014 წლის 31 ოქტომბერს, 17⁰⁰ სთ-მდე** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, სანაპირო კორპ. N16 მ/ტ - ნაძალადევის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა მე-2 სართული.
- 1.11. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება** კონკურსანტს;
- 1.12. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება.** ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.
- 1.13. კონკურსში გამარჯვებული ნამუშევარი** გადადის კონკურსის ორგანიზატორის საკუთრებაში, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, საავტორო უფლებების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

2. საკონკურსო პირობები

2.1. შეფასების კრიტერიუმები:

2.1.1. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებით:

- ა) ვიზუალური მხარე: კოეფიციენტი – **4.0**
- ბ) არქიტექტურული კონცეფცია: კოეფიციენტი – **6.0**

2.1.2 შეფასება განხორციელდება **10 ქულიანი** სისტემით;

2.1.3 კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა; ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტს წარმოადგენს კომისიის თავმჯდომარის პოზიცია.

შენიშვნა:

საკონკურსო კომისიის მიერ შეფასებული იქნება ზემოთ მითითებული კრიტერიუმით მხოლოდ ვიზუალური მხარე და არქიტექტურული კონცეფცია. შეფასების შედეგად გამოვლენილი გამარჯვებული კონკურსანტი ვალდებულია 10 დღის განმავლობაში უზრუნველყოს სრულყოფილი პროექტის (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია) წარმოდგენა

2.2. საკონკურსო წინადადების ფასი:

- ა) საკონკურსო წინადადების ფასში ასახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი;
- ბ) თუ პრეტენდენტი არ არის დღგ-ს გადამხდელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისი საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დღგ-ს გარეშე;
- გ) საკონკურსო წინადადება, რომლის ფასიც აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას (5000.0 ლარი), არ განიხილება.



2.3. ხელშეკრულების აუცილებელი პირობები:

2.3.1. ანგარიშსწორების პირობა:

- ა) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, ვალუტა - ლარი;
- ბ) ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში;
- გ) საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

2.3.2. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა:

- ა) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით;
- ბ) იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
- გ) საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალ- დებულებების შესრულებისაგან;
- დ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

2.3.3. გამარჯვებული კონკურსანტი ვალდებულია მასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციას მიაწოდოს ესკიზის შესაბამისად შედგენილი სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

2.3.4. მომსახურების ვადა:

- ა) კონკურსანტმა მომსახურება უნდა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა.

2.4. ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდება კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში, გარდა საკონკურსო დოკუმენტაციის 2.3 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებისა.

2.5. კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს:

- ა) საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში შემდეგი თანმიმდევრობით:
 - ქანდაკების ესკიზის პროექტი (სავარაუდო ზომები: ქანდაკება 1,9მ, პოსტამენტი -0,4მ), რასაც თან უნდა დაერთოს ძეგლის განხორციელებისათვის საჭირო მასალის ანოტაცია;
 - საკონკურსო მასალა ნებისმიერი ზომის ფორმატზე (სასურველია დაცული იქნას A3 ან A2 ფორმატი)
 - განმარტებითი ბარათი (არაუმეტეს სამი გვერდისა), მასში ჩამოყალიბებული უნდა იყოს პროექტის კონცეფცია;
 - ტერიტორიის სიტუაციური გეგმა, მასშტაბი - 1:500;
 - ქანდაკების გეგმა, მასშტაბი - 1:100
 - ქანდაკების მოდელი (მაკეტი ან პერსპექტიული ჩანახატი), მასშტაბი -1:10;
 - განშლები, ფოტომონტაჟი ან ჩანახატი;
 - ტერიტორიის კეთილმოწყობის (გამწვანება, განათება, მისასვლელი ბილიკი და ა.შ.) კონცეფცია;
 - კონკურსანტის გამოცდილების შესახებ ინფორმაცია;
 - კონკურსანტი პირის რეკვიზიტები, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:



- კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება;
- საიდენტიფიკაციო კოდი/ ნომერი;
- კონკურსანტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი:
- ხელმძღვანელის სახელი, გვარი
- კონკურსანტის ტელეფონის ნომერი; ტელ. ☎ ფაქსი.: ☎ მობ.:
- ელექტრონული მისამართი, E-mail:
- ბანკის დასახელება
- ბანკის კოდი
- ანგარიშსწორების ანგარიში

2.6. ყველა დოკუმენტი ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

2.7. საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება შესაძლებელია საკონტაქტო პირისაგან: ნინო კიკვაძე, ტელ: 591-94-53-73; წერილობითი მიმართვის შემთხვევაში ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, სანზონა, კორპ. N16-ის მ/ტ- ქ. ბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის გამგეობა.



3. ტექნიკური დავალება:

ა) ესკიზური პროექტი უნდა ემყარებოდეს ეროვნულ ღირებულებებს (ქანდაკების სამოსი უნდა ეხმარებოდეს ცოტნე დადიანის მოღვაწეობის ეპოქას) ;

ბ) ესკიზი უნდა წარმოადგენდეს სივრცით კომპოზიციას, მასშტაბის თვალსაზრისით არ უნდა იყოს კამერული ხასიათის, აღქმის წერტილები უნდა შეირჩეს განთავსების ადგილის გეგმარებითი მდგომარეობის გათვალისწინებით, კომპოზიციის შერჩევისას ანგარიში უნდა გაეწიოს მიმდებარედ არსებულ შენობა-ნაგებობებს;

გ) ესკიზი გადაწყვეტილი უნდა იყოს თავისუფალი დიზაინის, სკულპტურულ- არქიტექტურული სინთეზის საშუალებით; გრაფიკული მასალების შესრულების მანერა - თავისუფალი;

დ) ესკიზი შესაძლებელია შესრულდეს ნებისმიერი სახვითი საშუალებით (ფანქარი, გუაში, ტუში, აკვარელი, ტემპერა, შერეული ტექნიკა და სხვა);

ე) ავტორმა უნდა წარმოადგინოს ესკიზის კომპიუტერული ვერსია, ამობეჭდილი ფერად პრინტერზე; ყოველ ეგზემპლარზე უნდა იყოს აღნიშნული ავტორისათვის სასურველი მასალა, რომელშიც მას პროექტის განხორციელება წარმოუდგენია.



დანართი N1

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ პროექტი

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ქ. თბილისი

-----, -----, 2014 წ.

ერთის მხრივ ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობა, წარმოდგენილი ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგებლის ----- სახით (შემდგომში “შემსყიდველი”) და მეორეს მხრივ „-----“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

შემსყიდველმა ჩაატარა კონკურსი

ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში მ/სადგურ „ნაძალადევი“-ს მ/ტერიტორიაზე ცოტნე დადიანის ქანდაკების ესკიზისა და მის საფუძველზე შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნის მომსახურების შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის საკონკურსო წინადადება.

1. ხელშეკრულების საგანი

ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში მ/სადგურ „ნაძალადევი“-ს მ/ტერიტორიაზე ცოტნე დადიანის ქანდაკების ესკიზისა და მის საფუძველზე შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და ყველა შესაბამისი საავტორო უფლებების ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობის საკუთრებაში გადაცემა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ლარში.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ----- ლარს.

2.3 (კონკურსში ფიზიკური პირის გამარჯვების შემთხვევაში ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას უზრუნველყოფს შემსყიდველი ორგანიზაცია, ქვემოთ მითითებული თანხების ფარგლებში):.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარში.

3.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

3.3 ანგარ იშსწორება განხორციელდება 2014 წლის ნაძალადევის რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში მ/სადგურ „ნაძალადევი“-ს მ/ტერიტორიაზე ცოტნე დადიანის ქანდაკების ესკიზისა და მის საფუძველზე შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (პროექტი) და აღნიშულ (პროექტზე) ყველა შესაბამისი საავტორო უფლებების ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის გამგეობისათვის გადაცემის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

4.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

4.2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.



4.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

4.3.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;

4.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

4.4.1. ქ. თბილისის ნამალადევის რაიონის გამგეობას საკუთრებაში გადასცეს გამგეობის ემბლემის ესკიზი (პროექტი) და შესაბამისი ყველა საავტორო უფლებები;

4.4.3. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

4.6. მიმწოდებელს უფლება აქვს:

4.6.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურება.

5. გათვალისწინებული გარემოებები („ფორს-მაჟორი“)

5.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირება, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. აღნიშნულ შემთხვევებში ვალდებულებების შესრულების ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს ხსენებული საგანგებო მდგომარეობების და ბუნებრივი უბედურებების არსებობის პერიოდით.

5.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

5.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

6. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

6.1. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად:

ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ

უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

7. სადაო საკითხების გადაწყვეტა

7.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

7.2. თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.



8. გამოყენებული სამართალი

8.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

9. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

9.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება დეკემის, ტელექსის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

9.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

10. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს ----

11. სხვა პირობები

11.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

11.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

11.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11.4 გამარჯვებული კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

11.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

12. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

ქანდაკების განთავსების ადგილის ფოტო

